ᲨᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲙᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲬᲝᲕᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 42-Ე ᲬᲚᲘ | № 123 (12331) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 27 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲓ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობით ახორციელებენ პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მტკიცე რწმენით იღებენ შვიდწლედის ახალ-ახალ მიჯნებს. სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება რესპუბლიკის მრეწველობის წვლილი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. ამისი ახალი დამაჯერებელი დადასტურებაა მიმდინარე წლის ოთხ თვეში გაწეული მუშაობის შედეგები.

რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების ოთხი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სამრეწველო წარმოების მოცულობა 1961 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდამ 7 პროცენტი შეადგინა.

მაგრამ რესპუბლიკის საწარმოებში კიდევ მეტი რეზერვებია პროდუქციის გაზრდის გადიდებისათვის. სხვა რეზერვთა შორის ყველაზე დიდი რეზერვია მანქანათსამშენებლო და ზოგიერთი სხვა ქარხნის გადაყვანა ორ ცვლად მუშაობაზე. ამ ღონისძიების ეკონომიკურ ელემენტებით დამატებითი სახსრების გაუწეველად. მნიშვნელოვნად გავადიდებთ საწარმოთა სიმძლავრეებს, მეტ პროდუქციას მივცემთ ჩვენს ქვეყანას.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ამხანაგებო, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე. — რამდენი ძვირფასი პროდუქცია იქნებოდა წარმოებული, ეს ქარხნები ორ ცვლად რომ მუშაობდნენ და უძვირფასესი მოწყობილობა, რომელიც ამ ქარხნებშია დადგმული. მოცდენილი არ იყოს.

მრავალი საწარმოს კოლექტივი, რომელიც უნარიანად იყენებს წარმოების ყველა რეზერვს გადაჭარბებით ასრულებს არა მარტო საწარმოო გეგმას, არამედ ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებებსაც. ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა სიტყვა და საქმე ერთია. ეს გასაგებიც არის, რადგან კომუნისტური პარტია მთელ ჩვენს ხალხს ზრდის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში იზრდება მოწინავეთა რიგები, წარმოიშობა ახალი გამოცდილება, რომელიც ხელს უწყობს საწარმოში არსებული რეზერვების გამონახვასა და ამოქმედებას.

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში მოწინავე საწარმოები, კომუნისტური შრომის ბრიგადები და დამკვრელები დროს უსწრებენ, გაბედული ნაბიჯით მიდიან წინ შვიდწლედის მეოთხე წლის ზღუდეების დასაპყრობად.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ორგანიზატორული საქმიანობის მაგალითს გვიჩვენებს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროსაშენებლო ქარხნის კოლექტივი. აქ ოთხი თვის გეგმა 29 აპრილისათვის შესრულეს. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ქართველმა მეელექტროსაშენებლეებმა გამოუშვეს იმდენი რვაღერძიანი მძლავრი ელექტროვოზი, რამდენიც ქარხანამ 1959 წლის მანძილზე გამოუშვა. ქარხნის კოლექტივი ამ გამარჯვებას როდი სჯერდება. წარმატებით განაგრძობს სერიულ წარმოებაში არსებული ელექტროვოზების გაუმჯობესებას.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდა ჩვენი რესპუბლიკის ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის კოლექტივი. საწარმომ ოთხი თვის გეგმა 24 აპრილისათვის გადაჭარბებით გაანაღდა და სოფლის მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცა რამდენიმე ათეული ტრაქტორი „რიონი“.

მოწინავე საწარმოთა მწყობრში გაბედული ნაბიჯით მიდის წინ ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი. წარმოებამ ვადამდე შესრულა ოთხი თვის გეგმა და ჩვენი რესპუბლიკის ჩაის და კვების მრეწველობას გეგმის გადამეტებით მისცა ძვირფასი მანქანები. ქარხანაში განსაკუთრებით დაწინაურდა სამსხმელო საამქროს კოლექტივი, რომელმაც ძვირფასი მანქანები. ქარხანაში განსაკუთრებით დაწინაურდა სამსხმელო საამქროს კოლექტივი, რომელმაც განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 171 ტონაზე მეტი სხმული.

ტყიბულის შახტებს შორის თავი ისახელა დასავლეთის შახტმა. მაღაროელებმა თავდადებული შრომით სათბობის ამოღების ოთხი თვის გეგმა ერთი კვირით ადრე შეასრულეს და სამშობლოს დავალების გადამეტებით მისცეს 19 ეშელონი შავი ოქრო.

მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ეს წარმატებები იმის უტყუარი წინაპირობაა, რომ კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლოთ ახალ სიმაღლეთა ასაღებად, უფრო მძლავრი იერიში მივიტანოთ შვიდწლედის მეოთხე წლის მიჯნების ასაღებად.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოწინავე საწარმოების გვერდით ჯერ კიდევ არიან ფაბრიკები და ქარხნები, მაღაროები და შახტები, რომლებიც არათუ ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ასრულებენ, არამედ საწარმოო გეგმების შესრულებაშიც ჩამორჩებიან. ახეთ საწარმოთა კოლექტივების ხელმძღვანელებს, პარტიული და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ავიწყდებათ, რომ თავიანთი ცუდი მუშაობით უკან სწევენ რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივების საერთო მაჩვენებელს.

განვლილ პერიოდში მარტო სახალხო მეურნეობის სისტემაში შემავალი საწარმოებიდან 67-მა ვერ შეასრულა ოთხი თვის გეგმა და სამშობლოს დააკლო რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია. მათ შორის გეგმა ვერ შეასრულეს ისეთმა საწარმოებმა, როგორიც არიან ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიის ნიამაგე ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რუსთავის და თბილისის № 2 ბამბის საქსოვი ფაბრიკები.

ამ ჩამორჩენილ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა შეიგნონ, რომ საწარმოო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების რეალური შესაძლებლობა ყველა საწარმოშია. მთავარია გონივრულად გამოვიყენოთ არსებული ტექნიკა, უკეთ მოვაწყოთ შრომა, სათავეში ჩავუდგეთ მასების სოციალისტურ შეჯიბრებას, ფართოდ დავნერგოთ ნოვატორთა გამოცდილება.

პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ, რომელმაც მიიღო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ნათელი და რეალური პროგრამა, საბჭოთა ხალხში დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია. ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ მასების მზარდ აქტივობას, მტკიცედ დაუჭირონ მხარი ყველა ძვირფას თაოსნობას, ყველაფერი გაკეთონ იმისათვის, რომ დასახული გეგმები და ნაკისრი ვალდებულებები ცოცხალ საქმედ ვაქციოთ და ამით ღირსეული წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების საქმეში.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

მოსკოვი, 25 მაისი. (საკდესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგ იანოშ კადარის 50 წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს მას. დეპეშაში, კერძოდ, ნათქვამია: საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს თქვენს დაუცხრომელ მოღვაწეობას და თქვენს წვლილს ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების ურღვევი მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და ყოველმხრივ განვითარების, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების საქმეში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

„ᲥᲣᲗᲐᲗᲣᲠᲔᲑᲘ“

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲝᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

26 ᲛᲐᲘᲡᲡ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა თავისი ახალი სპექტაკლი — ლ. სანიკიძის კომედია „ქუთათურები“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა დ. ანთაძემ, მხატვარია — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დ. თავაძე, კომპოზიტორი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი რ. ლაღიძე.

სპექტაკლში როლები შეასრულეს — რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ე. აფხაიძემ, ი. ხვიჩიამ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა თ. ჩარკვიანმა, ე. საყვარელაძემ, კ. საკანდელიძემ, მსახიობებმა ი. ჯინჯიხაძემ, კ. კავსაძემ, ჯ. ღარანაძემ, ნ. ხეთერელმა, ჯ. ძიძავამ და სხვებმა.

სპექტაკლი გულთბილად მიიღეს მაყურებლებმა.

სპექტაკლს დაესწრნენ ვ. პ. მეჟავანაძე, დ. გ. სტურუა, ვ. მ. სირაძე. (საკდესი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲣᲨᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს ჰიათურელ და ნიკოპოლელ მაღაროელებს. ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, ტექნიკურ სიახლეებს. ნიკოპოლელები ამას წინათ ჰიათურაში იყვნენ, გულდასმით გაეცნენ ახალ მაღაროებსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებს, ტექნოლოგიურ პროცესებს, რაციონალიზატორთა და ნოვატორთა მუშაობას. მათი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ლიანდაგის გადამყვანმა ახალი კონსტრუქციის ისარმა, რომელიც მაღაროთა ტრანსპორტზე დაინერგა. იგი ძალიან პრაქტიკული და ეკონომიურია. ასეთ გადამყვან ისრებს მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნო ამზადებს.

ამ დღეებში უკრაინიდან ბარათი მოვიდა. ნიკოპოლელი მეგობრები ითხოვენ გადამყვანი ისრების ნახაზებს, რათა ეს სიახლე ფართოდ დაინერგოს ნიკოპოლის მაღაროებშიც. თხოვნა შესრულებულია.

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ. (საკ. კორ.). მაღალმთიანი სოფელი ზვარე განთქმულია სამკურნალო მინერალური წყაროებით. აქ აშენდა მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა, რომლის კოლექტივი წარმატებით შრომობს. მან მარტო აპრილში ჩამოასხა 580 ათასი ბოთლი „ზვარე“ და დაკალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

ზვარელებმა გასულ თვეებში გეგმის გადამეტებით 50 ათას ბოთლზე მეტი „ზვარე“ ჩამოასხეს და გაუგზავნეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს.

„ᲖᲕᲐᲠᲔ“ — ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲣᲙᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ. 750 კექტარზეა დათესილი წელს თავთავიანი კულტურები სოფელ გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში. თვითეულ ჰექტარზე 18 ცენტნერ მარცვალს მოელიან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ხორბლის ყანაში.

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲚᲕᲚᲐᲖᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲗ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ. 25 მაისი. (საკდესი). მილიონობით საბჭოთა მოქალაქესთან ერთად უნგრეთის ახალ ათასობით მშრომელმა ნახა და მოისმინა დღეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა მოსკოვის ტელევიზიით. კლუბებში, კულტურის სახლებსა და შინ შეიკრიბნენ ტელევიზორებთან ადამიანთა დიდი ჯგუფები, რომლებსაც წინასწარ შეატყობინეს პრესისა და რადიოს საშუალებით ეს გამოსვლა. ბუდაპეშტის სამრეწველო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონის დამთვალიერებლებმა აგრეთვე ნახეს მოსკოვიდან გადმოცემული ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა.

ᲡᲝᲤᲘᲐ, 25 მაისი. (საკდესი). ცნობას, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი ილაპარაკებს დღეს საბჭოთა რადიოთი და ტელევიზიით ბულგარეთში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შესახებ, უდიდესი ინტერესით შეხვდა ბულგარეთის მთელი საზოგადოებრიობა. იუწყება ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის მოსკოვიდან გადაცემის მოლოდინში რადიომიმღებებთან და რეპროდუქტორებთან შეიკრიბა მრავალი მსმენელი. ყოველ მეათეგან სურდა კვლავ მოესმინა ბულგარელი ხალხის დიდი მეგობრის, მშვიდობის, ხალხთა შორის ურთიერთგაგების და მეგობრობის გამოჩენილი მედროშის ნიკიტა-სერგეს-ძე ხრუშჩოვის ხმა, მოესმინა, თუ როგორ აფასებს იგი ბულგარეთში საბჭოთა დელეგაციის ყოფნას, ორი ქვეყნის, ორი მოძმე ხალხის ურთიერთობას.

განსაკუთრებული კმაყოფილება გამოიწვია ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის იმ ნაწილმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ურთიერთობა ყოველთვის იყო ძმური თანამშრომლობის ურთიერთობა.

ᲗᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 25 მაისი. (საკდესი). როცა მოსკოვიდან უნდა დაეწყოთ გადაცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლისა ბულგარეთში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მოგზაურობის შედეგების შესახებ, ტელევიზორებთან შეიკრიბა პოლონეთის ქალაქებისა და სოფლების ათასობით მცხოვრები. მოგვიანებით პოლონეთის ტელევიზიამ და რადიომ გადასცეს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შინაარსი.

ამ გადაცემებში მთავარი ყურადღება დაეთმო ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის იმ მომენტებს, სადაც იგი შეეხო გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებას და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის საკითხის გადაჭრას, საყოველთაო და სრულ განიარაღებას, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას, ლაოსის მდგომარეობას.

ᲛᲝᲓᲘᲒᲝ ᲙᲔᲘᲢᲐ ᲔᲪᲜᲝᲑᲐ ᲣᲬᲖᲔᲙᲔᲗᲡ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ, 25 მაისი. (საკდესი). გულღიად, როგორც ახლო მეგობარს ისე შეხვდნენ უზბეკეთის მშრომელები მოდიბო ქეიტას — მალის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურსა და მთავრობის თავმჯდომარეს.

დღეს მალიელი სტუმრები იყვნენ ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „ყზილ უზბეკისტანში“ — მსხვილ მრავალდარგოვან მეურნეობაში.

ᲮᲐᲠᲐᲩᲝᲔᲑᲘᲡ ᲢᲧᲔ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). მეშახტეთა ქალაქში — ტყიბულში ხარაჩოების ტყე აღმართულა. ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა ინდუსტრიული მშენებლობის მაჯისცემა. შახტმშენებელთა მთელი ყურადღება მიპყრობილია მიწისქვეშეთზე. აქ ამჟამად აგებენ ორ მძლავრ საწარმოს — კომკავშირულსა და დასავლეთის № 2 შახტს. პირველის მშენებლობაზე წელს 620 ათასი მანეთი დაიხარჯება, მეორეზე კი — 700 ათასი მანეთი.

ამას წინათ ხარაჩოები ჩამოხსნეს პიონერთა სასახლეს. ეს ნაგებობა ერთ-ერთი ულამაზესია მთელ ქალაქში. ახლა მიმდინარეობს ტერიტორიის კეთილმოწყობა. პარტიის ტყიბულის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციული შენობის დასავლეთით წამოიჭიმა საშუალო სკოლის ოთხსართულიანი შენობა. იგი გათვალისწინებულია 800 მოსწავლისათვის. მშენებლები ჩქარობენ, უკვე ფართო ფრონტით გაშალა შიდა სამუშაოები. 1 სექტემბერს ახალი სკოლა კარს გაუღებს მოსწავლეებს.

ქალაქის ცენტრში ჩქარსნული ტემპით მიმდინარეობს ასბინიანი სახლის მშენებლობა. თავისი ფართობით ეს ნაგებობა ყველაზე დიდი იქნება ტყიბულში. სულ უფრო მაღლა მიიწევს ხარაჩოები ორჯონიკიძის სახელობის შახტის პლატოზე. აქ მშენებლები ერთდროულად აგებენ სამ ოცდათორმეტბინიან საცხოვრებელ სახლს.

ᲙᲐᲠᲒᲘ შრომითი მაჩვენებლები აქვს სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა მეფრინველეს ბ. დაიაურს. იგი 97 პროცენტით ინარჩუნებს წიწილებს. სურათზე: მეფრინველე ბ. დაიაური.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ. ანეტა ხუციძემ სოფელ რიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დღეს მოკრიფა 130 კილოგრამი ჩაის ნედლეული, სოფელ ქვილიშორის კოლმეურნეობის წევრმა ფედია ვარდანიძემ — 110, ხოლო სოფელ ოფურჩხეთის კოლმეურნეობის მეჩაიემ თათუშა კინწურაშვილმა — 95 კილოგრამი.

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. ახალსოფლის კოლმეურნეობის წევრმა ნინო ცქიფურიძემ გუშინ 83 კილოგრამი ჩაის ნედლეული მოკრიფა, ხოლო თინა დალალიშვილმა — 77 კილოგრამი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲛᲔᲓᲚᲘᲗ „ᲬᲧᲐᲚᲬᲐᲦᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲬᲧᲐᲚᲬᲐᲦᲔᲑᲣᲚᲗᲐ გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულების გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოდნენ მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“:

1. **ᲛᲐᲜᲔᲘᲐ** ალფრედ ნაპოლეონის-ძე — კინოთეატრ „კოლხიდის“ კინომექანიკოსის თანაშემწე
2. **ᲒᲠᲫᲔᲚᲝᲕᲘ** ჯემალ გრიგოლის-ძე — „კურორტვაჭრობის“ სურამის მაღაზიის გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲥᲝᲩᲝᲕᲘᲫᲔ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲒᲔᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1962 წლის 25 მაისი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲛᲔᲓᲚᲘᲗ „ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲖᲔ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲘᲡ ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულების გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოდეს მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ — **ᲤᲔᲓᲘᲣᲙᲝᲕᲘ** ილია ნიკოლოზის-ძე უფროსი ლეიტენანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲥᲝᲩᲝᲕᲘᲫᲔ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲒᲔᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1962 წლის 25 მაისი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲒᲐᲜ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1962 წლის 26 მაისს უდროოდ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟენერი

ᲑᲠᲘᲒᲝᲚ ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲖᲐᲛᲑᲐᲮᲘᲫᲔ

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ.
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ ᲒᲣᲛᲐᲒᲔᲑᲘ

ᲪᲕᲐᲚ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ხალხი ზეიმით სცემს პატივს თავის მამაც შვილებს, სოციალისტური სამშობლოს საზღვრების ფხიზელ გუშაგებს — მწვანეკუდიან მეომრებს.

1918 წლის 28 მაისს პროლეტარული რევოლუციის დიდმა ბელადმა, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ხელი მოაწერა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტს „სასაზღვრო დაცვის დაწესების შესახებ“. სწორედ ეს დღე ითვლება საბჭოთა სასაზღვრო ჯარების დაბადების დღედ.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილმა, კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილმა საბჭოთა სასაზღვრო ჯარებმა თავისი არსებობის 44 წლის მანძილზე სახელოვანი საბრძოლო გზა განვლეს. მესაზღვრე მეომრები წარმატებით ეწეოდნენ და ეწევიან ბრძოლას იმპერიალისტურ დაზვერვათა აგენტურის წინააღმდეგ.

დიდმნიშვნელოვან უბანზე დგანან საქართველოს მესაზღვრეები. იმპერიალისტურ დაზვერვებს არაერთხელ უცდიათ აქ გადმოელახათ საზღვარი. მაგრამ ყველა მათი ცდა აწყდებოდა საბჭოთა მესაზღვრეების დიდ სიფხიზლეს, შესანიშნავ საბრძოლო გაწვრთნილობასა და მამაცობას და მარცხით თავრდებოდა. მეომრებს დიდ დახმარებას უწევენ საზღვრისპირა სოფლებისა და ქალაქების მშრომელები: ჩვენი ქვეყნის უშიშროებას, სსრ კავშირის საზღვრების მუუვალობას მთელი საბჭოთა ხალხი იცავს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მესაზღვრეებს უწოდა საბჭოთა საზღვრების ფხიზელი გუშაგები, მამაცი და თავმდაბალი ადამიანები, რომლებიც შეკავშირებული არიან მტკიცე მხედრული მეგობრობით და უნარი შესწევთ დაძლიონ ყოველგვარი სიძნელენი, ფხიზელი სამსახურით, საუკეთესო საბრძოლო სწავლით ამართლებენ ამ მაღალ შეფასებას საქართველოს მესაზღვრეები.

• • •



ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: (მარცხნიდან მარჯვნივ): სერჟანტი ა. ზაპოროუცევი და რიგითი ა. ტეჩშევი საგუშაგოზე სახელმწიფო საზღვრის დასაცავად.

ფოტო ა. პენსკიხისა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ ᲒᲣᲛᲐᲒᲔᲑᲘ

ᲦᲐᲛᲘᲡ ᲬᲧᲕᲓᲘᲐᲓᲨᲘ

ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲐᲓ გააცილეს თანამოსამსახურეებმა ხანმოკლე შვებულებაში მიმავალი სერჟანტი ე. ტრონინი და რიგითი დ. ფედოტენკო. ისინი მაგრად ართმევდნენ ხელს მოწინავე მეომრებს, კარგ დასვენებას უსურვებდნენ მახლობლების წრეში, ოჯახში. სერჟანტმა ტრონინმა და რიგითმა ფედოტენკომ შვებულება საბრძოლო სწავლაში წარჩინებით, სახელმწიფო საზღვრის დაცვისათვის უნარიანი სამსახურით დაიმსახურეს.

ეს ერთ-ერთი სამხრეთული ღამის წყვდიადში მოხდა. წყვდიადს ისე მოეცვა არემარე, რომ ადამიანი ორ ნაბიჯზე ვერაფერს ვერ გაარჩევდა.

— რა ღამეა, — წაიჩურჩულა განრიგის უფროსმა — სერჟანტმა ტრონინმა, — ნამდვილი სამხრეთულია. თვალით არა ჩანს რა. მაშასადამე, ყური ფხიზლად უნდა გვეჭიროს.

სასაზღვრო საგუშაგოზე სამსახურმა დაარწმუნა სერჟანტი ტრონინი, რომ მტრის მსტოვრები თავიანთი საზიზღარი ზრახვების განსახორციელებლად ცდილობენ გამოიყენონ სწორედ ასეთი ბნელი ღამეები; მეტადრე თუ ზედ ერთვის უამინდობა. ამიტომ სერჟანტი ტრონინი სმენად იქცა. ადგილის დაყურადების მკაფიო ამოცანა მისცა თავის მეწყვილეს რიგით მებრძოლ ფედოტენკოსაც.

მყუდროებაა, მხოლოდ დროდადრო გაიშრიალებს ხმელი ბალახი. მაგრამ ეს შრიალი არ აწუხებს სერჟანტ ტრონინს. მან იცის საზღვრის „მოსმენა“. აქ თაგვმა გაირბინა, იქ ზღარბმა გაიფაჩუნა. ღამით ხმების გამოცნობის უნარი ერთბაშად როდი გამოუმუშავდა ტრ

პარტიული ცხოვრება

ბრძოლა — მაქინაციორების, წამგლეჯების წინააღმდეგ!

ქუთაისი, 26 მაისი. (საქდესი). გაიმართა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი პარტიული და სამეურნეო აქტივის მონაწილეობით.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

პლენუმმა მოისმინა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის **შ. კობახიძის** მოხსენება — საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმესა და სოციალისტური კანონიერების დაცვაში.

აღინიშნა, რომ უკანასკნელ დროს ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში გახშირდა სახელმწიფო საკუთრებისა და სახალხო ქონების დატაცებისა და განიავების შემთხვევები. ყალთაბანდები, მაქინატორები, რომლებმაც ისარგებლეს საწარმოთა და დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელის დოყლაპიობით, სიბეცითა და უდარდელობით, მოეწყვნენ მატერიალურ-პასუხსაგებ თანამდებობებზე და ამ თანამდებობებს იყენებდნენ თავიანთი პირადი ინტერესებისათვის.

სხვადასხვა მაქინაციის, ყალბი საბუთების შეთხზვის გზით წამგლეჯებმა მიითვისეს დიდი თანხა, რის შედეგად სახელმწიფოს მოუვიდა 1.263.000 მანეთი ზარალი. დიდი დატაცება მოხდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაში, ყოფილ „გელათშახტმშენის“ სამმართველოში, სამშენებლო ბანკის ქუთაისის განყოფილებაში, საკონსერვო ქარხანაში და სხვ.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კადრების შერჩევას, აღზრდასა და სწორ განაწილებას. მოხსენებაში მოყვანილია კონკრეტული ფაქტები. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მთავარი ბუხჰალტრის თანამდებობაზე მიიღეს ვინმე კლეიმანოვი, რომელსაც ადრე 25 წლის თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. შეუმოწმებლად მიიღეს სამუშაოზე „საქტყემშენვაჭრობის“ № 1 სავაჭრო ბაზაში ჩხობაძე, რომელსაც ერთ დროს 12 წლის თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. დამნაშავენი ამხილეს და სასტიკად დასჯეს.

დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც სუსტად ებრძვიან ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს. პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ არ იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებას, რომ კონტროლი გაუწიონ სამეურნეო საქმიანობას, სუსტად უწევენ კონტროლს ცალკეულ უბნებს, რითაც სარგებლობენ უპატიოსნო ადამიანები.

ელექტრომექანიკური ქარხნის საწყობის გამგემ სანიკიძემ ისარგებლა საწარმოს დირექტორის დოყლაპიობით, იმით, რომ სათანადო კონტროლს არ ახორციელებდა პარტიული ორგანიზაცია და მიითვისა დიდი თანხა. უპატიოსნო გზით მოპოვებული სახსრებით მან აიშენა სახლი, შეიძინა ავტომანქანა „ვოლგა“, ხელგაშლილად ცხოვრობდა.

ამას წინათ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს განიხილა სახელმწიფო ბანკში შექმნილი მდგომარეობის საკითხი. გამოირკვა, რომ კონტროლის გაძლიერების ნაცვლად ბანკის მუშაკები უხეშად არღვევდნენ საქონლის წერილ საბითუმო გაყიდვისათვის ანგარიშის გასწორების წესებს. ამით ხარგებლობდნენ მაქინატორები, რომლებიც სამუშაოდ მოეწყვნენ მთელ რიგ საწარმოებში, და ითვისებდნენ დიდ თანხას. უფრო მეტიც, უკანონო ოპერაციებში გარეული იყო თვით ბანკის მმართველი სინათაშვილიც.

მხოლოდ პარტიულ ორგანიზაციათა სიფხიზლის მოდუნებით შეიძლება აიხსნას ის, რომ საკმაო დიდი დროის მანძილზე ყალთაბანდები ეწეოდნენ თავიანთ ბინძურ საქმეებს მთელ რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში.

მილიციის, პროკურატურის ორგანოები, რომლებიც მოწოდებული არიან იბრძოლონ სახალხო დოვლათის დამტაცებელთა წინააღმდეგ, ხშირად ლიბერალიზმს იჩენენ დამნაშავეთა მიმართ.

პარტიული ორგანიზაციები, მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები გვერდს უვლიდნენ ისეთ მოვლენებს, როცა გაურკვეველი ხელობის ადამიანები, რომლებიც საეჭვო წყაროებით ცხოვრობენ, იშენებდნენ სახლებს, იძენდნენ მანქანებს და შემდეგ ყიდდნენ მათ.

მოხსენებაში მოყვანილია ფაქტები, როცა მილიციის ზოგიერთი მუშაკი ასრულებდა მართლწესრიგის დამრღვევთა ხელისშემწყობის როლს და თვითონაც კი ადგებოდა კანონიერების დარღვევის გზას. მილიციის ზოგიერთმა მუშაკმა „გაურკვეველი“ შემოსავლით აიშენა საცხოვრებელი სახლები. მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილემ შავგულიძემ, რომელსაც აქვს სამოთახიანი განცალკევებული ბინა, აიშენა საკუთარი საცხოვრებელი სახლი, რომლის ფართობი 200 კვადრატულ მეტრზე მეტია. მილიციის მუშაკთა წყარუბის წყალობით ქალაქში გახშირდა კერძო მეწარმეობის შემთხვევები. მაგალითად, ბარათაშვილის ქუჩაზე გაიხსნა ავტომობილის საბურავების ვულკანიზაციის კერძო სახელოსნო ისე, რომ არ ყოფილა შესაბამისი ნებართვა.

პლენუმზე მოიყვანეს საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის, სახელმწიფო სახსრების განიავების ფაქტები.

ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში შექმნილი მდგომარეობა გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სპეციალური განხილვის საგანი. ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა შესაბამისი დასკვნები გააკეთეს იმ სამართლიანი კრიტიკიდან, რაც მათ გაუწიეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორმა **შ. კიკნაძემ** აღიარა, რომ ქარხნის ხელმძღვანელობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ არ გამოიჩინეს სათანადო სიფხიზლე, რითაც ისარგებლეს დამტაცებლებმა და წამგლეჯებმა, რომლებმაც მოიკალათეს საწარმოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაში. ისინი დამსახურებულად დასაჯეს, მაგრამ ქარხნის კოლექტივმა, მისმა ხელმძღვანელებმა აქედან უნდა გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ **ა. ხურციძემ** აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა სახალხო საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ.

ელექტრომექანიკური ქარხნის მუშამ **ა. უანჩელმა** მწვავედ გააკრიტიკა ქარხნის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია სიბეცისა და უზრუნველობისათვის, რის გამო ქარხანაში შესაძლებელი გახდა დიდი დატაცება.

იმაზე, თუ რა თავისუფლად გრძნობენ თავს სპეკულანტები ქალაქში, ილაპარაკა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ა. ბოჭორკაძემ.** ორატორმა აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ფართოდ ჩავათათ ახალგაზრდობა ყოველი ჯურის სპეკულანტების, წამგლეჯების, დამტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ს. ფხაკაძემ** თავიანი გამოსვლა მიუძღვნა იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. სახალხო ქონების დატაცების, განიავების ფაქტები, რაც მოხდა ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში, ცხადყოფენ იდეოლოგიური მუშაობის არსებით ნაკლოვანებებს.

პლენუმზე გამოვიდნენ აგრეთვე ქალაქის პროკურორი **ა. ულენტი,** ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანი **შ. სანიკიძე,** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **უ. ცქვიტინინძე,** ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ხარატი **ა. აგაპოვი,** სამკერვალო ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მდივანი **მ. ჭანდარია,** პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი **თ. ვარდანაშვილი** და სხვები.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. ა. გეგეშიძემ.**

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ღღეს გავაკეთოთ მეტი — ეს იმას ნიშნავს ხვალ ბევრი გვქონდეს! ამ დევიზით შრომობენ ტყიბულის შახტის მეელმავლე ი. არჩვაძე და ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოულის კოლმეურნეობის მეჩაიე ჟ. ლასურია. ისინი ყოველდღიურ დავალებას სამმაგად ასრულებენ. **სურათებზე:** ი. არჩვაძე და ჟ. ლასურია.
ფოტო პ. ლუცენკოსი და ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

საგჭოთა პროკურატურის 40 წელი

კანონიერების სადარაჯოზე

პ. ბერძენიშვილი,
საქართველოს სსრ პროკურორი.

ორმოცი წლის წინათ, 1922 წლის 28 მაისს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ინიციატივით, მის მიერ შემუშავებულ მითითებათა საფუძველზე სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიამ მიიღო კანონი საბჭოთა პროკურატურის შექმნის შესახებ.

საბჭოთა პროკურატურის შექმნა წარმოადგენდა პარტიის უმნიშვნელოვანეს ორონისძიებას, მიმართულს სოციალისტური კანონიერების ზუსტად და განუხრელად განხორციელებისაკენ. რევოლუციური კანონმდებლობის ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისაკენ.

თავის ცნობილ წერილში „ორმაგი დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ ვ. ი. ლენინმა მკაფიოდ და ამომწურავად განსაზღვრა პროკურატურის მიზნები, მისი მუშაობის შინაარსი და ამოცანები.

ვ. ი. ლენინის ამ წერილმა შემდგომში თავისი ასახვა და განვითარება ჰპოვა საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში — კონსტიტუციაში, რომლის 113-ე მუხლში ნათქვამია: „ყველა სამინისტროსა და მათი ქვემდებარე დაწესებულებების, ისე როგორც ცალკეული თანამდებობის პირებისა და აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქეების მიერ კანონთა ზუსტად შესრულებაზე უმაღლესი ზედამხედველობის გაწევა ეკისრება სსრ კავშირის პროკურორს“. კონსტიტუციის 117-ე მუხლი აწესებს: „პროკურატურის ორგანოები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოსაგან დამოუკიდებლად და ემორჩილებიან მხოლოდ სსრ კავშირის პროკურორს“.

არსებობის ორმოცი წლის მანძილზე საბჭოთა პროკურატურა მტკიცედ დგას სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე.

კიდევ უფრო დიდი ამოცანები დგას ამჟამად საბჭოთა პროკურატურის წინაშე. XXII ყრილობამ, საბოლოოდ გამოაშკარავა პიროვნების კულტის ძძიმე შედეგები, აღნიშნა თვითნებობის, საბჭოთა კანონებისა და სამართლის უხეში დარღვევების არაერთი ფაქტი და საჭიროდ მიიჩნია სოციალისტური კანონიერების ნორმების შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფა. ამაში კი მეტად დიდი როლი ეკუთვნის საბჭოთა პროკურატურის ორგანოებს, რომლებიც მოწოდებული არიან ზუსტად დაიცვან საბჭოთა კანონები. ებრძოლონ დამნაშავეობას, აღმოფხვრან მისი წარმომშობი მიზეზები.

საბჭოთა პროკურატურის მუშაკებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ ჩვენი საზოგადოების დევიზი, რომელიც მოცემულია პარტიის ახალ პროგრამაში სხარტი ფორმულის სახით — „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

საბჭოთა სახელმწიფო, პროკურატურის ორგანოები დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის სრული და საბოლოო ლიკვიდაციისათვის, მაგრამ ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრა, კერძოსაკუთრული და ინდივიდუალური ეგოისტური ჩვევების დაძლევა, დანაშაულის ლიკვიდაცია ერთი-ორი დღის საქმე როდია. იგი დაკავშირებულია მეტად რთულ და ხანგრძლივ პროცესთან.

გასაგებია, რომ ამის გამო ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ აქვს და ახლო მომავალშიც ექნება ადგილი ცალკეულ ემსცესებს, დანაშაულებრივ მოვლენებს. მთ წინააღმდეგ საჭიროა ულმობელი ბრძოლა. ამიტომ არის, როგ საზოგადოებრივი აღმზრდელობითი ფორმების ფართოდ გამოყენებასთან ერთად უკანასკნელ ხანს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს უმნიშვნელოვანესი კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას სრულიადაც არ ნიშნავს დასჯითი პოლიტიკის სამკაცრეს საერთოდ. როგორც წესი, მცირე მნიშვნელობის დანაშაულისათვის პირს არ უნდა მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა, უფრო მეტიც, სასჯელის ამ სახის განსაზღვრისას მნიშვნელოვან საქმეებზეც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დანაშაულის ჩადენის პირობები, დამნაშავის პიროვნება, მისი წარსული.

უდიდესი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანათა სრულყოფილად გადაწყვეტას პროკურატურის ორგანოები მხოლოდ მაშინ შეძლებენ, თუ მათ მიმართ სწორად იქნება განხორციელებული პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება. იმ რაიონებში, სადაც პროკურატურას პარტიულ კონტროლთან ერთად ეწევა ქმედითი დახმარებაც, ჩვენი ორგანოების საქმიანობის ხარისხიც მაღალია.

რა კარგადაც უნდა ხორციელდებოდეს პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება პროკურატურის ორგანოებისადმი, ჩვენი მუშაკები მაინც ვერ შეძლებენ იყვნენ სათანადო დონეზე, თუ სისტემატურად, ყოველდღიურად არ აიმაღლებენ თავიანთ კვალიფიკაციას, პოლიტიკური მომზადების დონეს, თუ თავიანთი კულტურით, ქცევით, ზნეობრივი სიწმინდით სამაგალითონი არ იქნებიან ყველასათვის. ეს კარგად უნდა ახსოვდეს პროკურატურის ყველა მუშაკს.

თავისი ორმოცი წლის იუბილეს საბჭოთა პროკურატურა აღნიშნავს ჩვენი ხალხის პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, როდესაც საბჭოთა მშრომელები წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის დიად მიზნის დასახულობას. თანამედროვე პირობები ამ კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები პროკურატურის ყოველი მუშაკისგან მოითხოვს გაიმსჭვალონ ხალხის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობით, კიდევ უფრო გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, განუხრელად დაიცვან კანონები, განამტკიცონ სოციალისტური მართლწესრიგი და კანონიერება. ჩვენთვის ყოველდღიურ სახელმძღვანელოს უნდა წარმოადგენდეს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები:

„ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელი აღარ არის, არავითარ შემხვევაში არ ნიშნავს საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერების რაიმე შესუსტებას. პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, მოქალაქეთა უფლების დაცვას, საბჭოთა ადამიანის უფლებას, თავისუფლებას, პატივს, ღირსებას მტკიცედ დაიცვან საზოგადოება და სახელმწიფო“.

საბჭოთა პროკურატურა, მისი ყოველი მუშაკი განუხრელად გაატარებს ამ მითითებებს.

ჭეშმარიტად ლეგენდარული...

ს. პეტროსიანის — კამოს დაბადების 80 წლისთავის გამო

ასეთი ხალხი ლურსმანად რომ იქცეს:
ლურსმანს ვერ ნახავ ამაზე მტკიცეს:
ნ. ტიხონოვი.

იწა იცინის, როდესაც მე ვამბობ მასზე, ის ხარობს ჩემი სიცოცხლითო, ხშირად ხუმრობით იტყოდა კამო. და ეს ხუმრობით ნათქვამი სიტყვები იყო დიდი სინამდვილე ლეგენდარულ რევოლუციონერზე, რომელიც ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ხუთჯერ მძიმედ დაიჭრა, ორ წელზე მეტი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ეწამა და დამბზნებული თოფების წინ საკუთარი სამარე ოლიმპიური ნიმშვიდით გათხარა.

მადლიანმა ქართულმა მიწამ არა ერთი სასახელო შვილი მისცა რევოლუციურ მოძრაობას, და მათ შორის იყო კამოც.

სიმონ არშაკის-ძე პეტროსიანი (კამო) დაიბადა ქალაქ გორში 1882 წლის მაისში. აქვე მიიღო მან დაწყებითი განათლება. აქვე შეიძულა ღმერთი და არსებული წყობილება. საქალაქო სკოლის ხელმძღვანელობისათვის მალე ცნობილი გახდა ახალგაზრდა კამოს ასეთი პროტესტანტული განწყობილება, და 15 წლის უმაწვილი სკოლიდან გარიცხეს როგორც „საშიში პიროვნება“.

1901 წელს 19 წლის ჭაბუკი სწავლის გასაგრძელებლად თბილისში ჩამოდის. მაგრამ მას სწავლაზე მეტად სხვა რამ იზიდავდა. და ეს „სხვა რამ“ იყო თავისუფლებისათვის ბრძოლა. იგი ცხოვრებაში არ დაეძებდა რძის მდინარეს, არამედ მას სურდა ეპოვნა რევოლუციის მორევი, რომ ბრძოლით ბოლომდე გაეცურა. თბილისში კამო სწორედ მაშინ ჩამოვიდა, როცა თბილისსა და ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ ფეხი აუწყო ლენინური „ისკრის“ მოწოდებებს, დაძლია ვიწრო წრეობანა და ფართო, ორგანიზებული ხასიათი მიიღო. თბილისში კამო მალე ეცნობა თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატ მოღვაწეებსა და მოწინავე მუშებს, რომლებიც ამიერკავკასიაში მარქსიზმის პროპაგანდას ეწეოდნენ, წვრთნიდნენ ახალგაზრდა რევოლუციონერებს, მათ შორის თვით კამოს.

გადიოდა დღეები, თვეები და კამო რევოლუციურ მუშაობაში სულ უფრო მეტად ებმებოდა. 1901 წელს იგი შედის რსდმპ რიგებში. 1902 წელს კამო გაცხოველებულ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა თბილისის ვერის უბნის მუშა-მოსამსახურეთა შორის. აქ მისი აქტიური მონაწილეობით და ინიციატივით დაარსდა რსდმპ ჯგუფები, მომზადდა რამდენიმე გაფიცვა.

1903 წელს კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით კამო შეანშნავად ასრულებდა მარქსისტული ლიტერატურის გავრცელების, ლენინურ-ისკრული მიმართულების ჯგუფებს შორის მტკიცე კავშირის დამყარებისა და ვ. ი. ლენინის მითითებათა ამიერკავკასიის ადგილობრივ ორგანიზაციებამდე დაყვანის მეტად რთულ საქმეს. ამ დავალებათა წარმატებით შესრულებამ ცნობილი გახადა კამო კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისათვის, როგორც პროფესიონალური რევოლუციონერი.

პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციურმა მოძრაობამ ფართო გაქანება მიიღო. 1903 წლის 27 ნოემბერს კამო პროკლამაციებით დატვირთული ბათუმში ჩავიდა. მაგრამ ზურგზე სახიფათო ბარგმოკიდებული კამო პოლიციამ დაუპატიმრა. გაჩხრეკის დროს მას პროკლამაციებთან ერთად აღმოაჩნდა ფრიად საიდუმლო წერილი. მოსალოდნელი იყო წერილში მოხსენიებული ამხანაგების დაპატიმრება. კამო არ დაიბნა. პოლიციის მიერ დაკითხვის მომენტში დრო იხელთა, მაგიდიდან აიღო წერილი, მოსრესა და გადაყლაპა ისე, რომ გამომძიებელს არც კი შეუმჩნევია. ეს იყო ასეთ საქმეში კამოს პირველი ნათლობა. ცხადია, ბათუმის ციხეში იგი დიდხანს არ დარჩენილა — გაიქცა.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში მთლიანად გამოვლინდა კამოს როგორც შეუდრეკელი მებრძოლისა და ორგანიზატორის ნიჭი. ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა მას საზღვარგარეთიდან რუსეთში იარაღის შემოტანის რთული საქმე მიანდეს.

იარაღის შეძენისა და რუსეთში შემოზიდვის მიზნით 1906 წლის ბოლოს კამომ იმოგზაურა შვეიცარიაში, ბელგიაში და ბულგარეთში. კამო და მ. მ. ლიტვინოვი შეთანხმდნენ, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში შეძენილი იარაღი ბულგარეთის ნავსადგურ ვარნაში დაეგროვებინათ და იქიდან კავკასიაში გაეგზავნათ. ეს ასეც ხდებოდა და კავკასია რევოლუციის არსენალს დაემსგავსა. და აი, ერთხელ რუმინეთის ნაპირზე ავარია განიცადა იარაღით დატვირთულმა გემმა და დაუპატიმრეს კამო. ამჯერად იგი ციხიდან გათავისუფლეს ბულგარელ და რუმინელ რევოლუციონერთა დაჟინებითი მოთხოვნით.

რევოლუციის ქარიშხალი ჩადგა. იგი პროფესიონალი რევოლუციონერებისთვისაც „გენერალური რეპეტიცია“ იყო. რეაქციამ იძალა, ქვეყანა დაიფარა სახრჩობელებით. და ამ დროს თბილისში ერევნის მოედანზე დგას კამო ოფიცრის ფორმით. მას საკუთარი ინიციატივით განუზრახავს დიდი თანხის ექსპროპრიაციით ფინანსურად დაეხმაროს პარტიას. კამომ სიგნალი გასცა... იგრძალა უუმბარებმა, და 250.000 მანეთი გატაცებულია.

ამ ფაქტმა შესძრა მსოფლიო. კამოზე წერენ არა მარტო რუსეთის, არამედ ევროპის, აზიისა და ამერიკის ქვეყნების გაზეთები. გამოცხადდა მსოფლიო ძებნა. მაგრამ ამაოდ. კამო დიმიტრი მირსკის პასპორტით ჩადის გერმანიაში და თანხა დაუყოვნებლივ შეაქვს პარტიულ სალაროში. ამის შემდეგ კამო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თხოვნით მოგზაურობს ევროპის ქვეყნების ქალაქებში და ავრცელებს საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის მოწოდებებს.

შემდეგში ამ ექსპროპრიაციის შესახებ ამხანაგთან საუბარში კამო ამბობდა: „მე ვფიქრობდი, რომ ერთხელ ჩატარებული ექსპროპრიაცია ჩვენს რიგებს მორალურად დიდ ზიანს არ მიაყენებდა... დიე მე გამაკრიტიკონ, ბრალად დამდონ, ოღონდ პარტია გაძლიერდეს. შენ გგონია, რომ მე თვითონ სწორად მიმაჩნია ჩემი ნაბიჯი? რა თქმა უნდა, არა... მაგრამ ახლა, როცა მას ვიგონებ, კვლავ ვფიქრობ, რომ თავის დროზე — რეაქციის პერიოდში დღის სინათლეზე მომხდარი ასეთი აქტი რევოლუციური გამოსვლა იყო. გამაკრიტიკე, მაგრამ ნათქვამის აღნიშვნაც არ დაგავიწყდეს“.

1907 წლის ნოემბერში პროვოკატორმა გასცა კამო და იგი ჩასვეს ბერლინის ციხეში. გერმანიისა და რუსეთის პოლიციამ გაერთიანებული ძალებით დაიწყო კამოსათვის ბრალდებათა წაყენება. მას სიკვდილი მოელოდა. რევოლუციონერი ამჯერადაც არ დაიბნა, მან სიგიჟე მოიგონა, რომელსაც მ. გორკიმ „გენიალური სიმულაცია“ უწოდა.

ციხიდან კამო, როგორც „ავადმყოფი“, გადაიყვანეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. იგი მოათავსეს ნამდვილ ავადმყოფებთან, მაგრამ ოდნავაც არ შემკრთალა. „რკინის კაცი“, როგორც მასზე ამბობდნენ, შიზოფრენიით დაავადებულებთან იძინებდა და დგებოდა. და ეს ნამდვილი ჯოჯოხეთი გრძელდებოდა არა ერთი დღე — დამე, არამედ თვეები და წლები!

ბოლოს, ექიმებმა გადაწყვიტეს ულმობელი ზომებით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა. ერთხელ ექიმმა კამოს ხელი დაუჭირა და ფრჩხილის ძირში ნემსი გაუყარა. კამო მშვიდად უყურებდა ექიმის მხეცურ მოქმედებას. მან ცდა გაიმეორა ხელის დანარჩენ თითებზე, შემდეგ ფეხის ფრჩხილებზე, მაგრამ კამო ხმას არ იღებდა...

ამ ოპერაციის შემდეგ პაციენტი ცხელი შამფურით დადადეს... შემდეგ მის ორგანიზმში ელექტროდენი გაატარეს. მაგრამ ამაოდ. არა და არა! არ დარღვა „რკინის კაცის“ წონასწორობა.

ედიციონის ისტორიამ არ იცოდა ისეთი შემთხვევა, რომ ნორმალურ ადამიანს ამდენი წამება მოთმინებით გადაეტანოს. ამიტომაც გერმანელი ექიმები დარწმუნდნენ კამოს „ავადმყოფობაში“ და გამოთქვეს აზრი მისი რუსეთისათვის გადაცემის შესახებ. ასეც მოხდა.

კამო თბილისშიც განაგრძობს თავის „გენიალურ სიმულაციას“. მას ათავსებენ საავადმყოფოში. თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია შეუდგა თადარიგს კამოს გაქცევის მოწყობის შესახებ. ციხის საავადმყოფოს მცველების მეშვეობით კამოს დებმა და ნათესავებმა შეუგზავნეს ლითონის საჭრელი ხერხები, რითაც კამომ პოლიციის შეუმჩნევლად გადახერხა ფანჯრის გისოსი და ბორკილები. 1911 წლის 15 აგვისტოს კამო ისევ გაიქცა...

1912 წელს კამო ვ. ი. ლენინის დავალებით საზღვარგარეთიდან ისევ ბრუნდება რუსეთში და განაგრძობს რევოლუციურ მუშაობას. იგი დაუღალავად იბრძვის პრაღის კონფერენციის გადწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობაში კამო აქტიურად მონაწილეობდა მაგრამ 1913 წლის იანვარში იგი ისევ დაუპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ამჯერად სიკვდილით დასჯა გარდაუვალი იყო. კავკასიის სამხედრო სასამართლომ მას მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

განაჩენის სისრულეში მოყვანის დღეებში აღინიშნა რომანოვების დინასტიის 300 წლისთავი. ამასთან დაკავშირებული მანიფესტით კამოს სიკვდილით დასჯა შეეცვალა 20 წლის კატორღით. კამომ ამაზე განაცხადა: „მანიფესტით ხსნა სიკვდილისაგან მე არა მსურდა, საკუთარი საშუალებით გადარჩენა უკეთესი იქნებოდა. მაგრამ სულ ერთია, მე დიდხანს არ ვიჯდები“.

გამართლდა კამოს წინასწარხედვა. იგი მართლაც დიდხანს არ მჯდარა ციხეში. მას მოუსწრო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და გაათავისუფლა კატორღიდან.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კამო აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებასა და დაცვაში. კამო იყო ინიციატორი, პირველი შემქმნელი და ხელმძღვანელი სამოქალაქო ომის დროს პარტიზანული რაზმებისა მტრის ზურგში.

1921 წელს კამო მივლინებულ იქნა ირანში, სადაც დაჰყო 1922 წლის დასაწყისამდე, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მუშაობდა საბჭოთა საქართველოს საბაჟოში.

კამო მუდამ დარჩება ისტორიაში რევოლუციური გმირობისა და თავგანწირვის შესანიშნავ მაგალითად. მისი ვაჟკაცური მოღვაწეობა არც ბედისმაძიებლობა იყო და არც დიდების წყურვილი. მას ამოძრავებდა, ძალას აძლევდა ხალხი, რომელმაც არა მარტო შეიცნო სამყარო, არამედ გაიგო მისი რევოლუციური გარდაქმნის აუცილებლობა.

ბ. ნამუგბია.

კომუნისტური შრომის საამქრო

კომუნისტური შრომის საპატიო სახელის მოსახვეჭად ჩვენი ქარხნის ყველა ბრიგადა, ცვლა, უბანი და საამქრო იბრძვის. ვაღწევთ მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს — ქვეყანას დიდი რაოდენობით ვაძლევთ თუჯს, ფოლადს, ნაგლინს.

ქარხნის საერთო მაჩვენებლების ზრდაში თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი საამქროს კოლექტივს. საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისა და კომუნისტური შრომის სხვა პრინციპების განხორციელებისათვის ამ დღეებში საგლინავ საამქროს კომუნისტური შრომის საპატიო წოდება მიენიჭა. გადმოგვეცა პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

ეს დიდი გამარჯვება მგლინავებს უფრო დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებანი, გაბედულად ვიაროთ წინ, ახალი ზღუდეების დასაპყრობად.

ვ. კირვალიძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს პარტბიუროს მდივანი.

44 ათასი ფრთა ფრინველი ჰყავს მახარაძის მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმას. მიმდინარე წელს იგი სახელმწიფოს მიჰყიდის მილიონ ორასი ათას კვერცხს. ენერგიულად შრომობს ფერმაში საშუალო სკოლადამთავრებული ნარი თოიძე. მან იკისრა თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე მიიღოს 120 ცალი კვერცხი. **სურათზე:** მეფრინველე ნ. თოიძე.
ფოტო ი. ნანიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

კომუნისტი

№ 2 გვერდი, კვირა,
27 მაისი, 1962 წ.

დეკლარაცია ომის პროპაგანდის წინააღმდეგ

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები უნდევენი:

აღნიშნავენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრეამბულაში ხალხები გამოხატავენ თავიანთ გადაწყვეტილებას „გამოიჩინონ შემწყნარებლობა და იცხოვრონ ერთად, ერთმანეთთან მშვიდობით, როგორც კეთილმა მეზობლებმა";

აღნიშნავენ, რომ წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი შეიცავს ვალდებულებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრმა თავი შეიკავოს საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის მუქარისაგან ან მისი გამოყენების მუქარისაგან ყოველი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ;

აღნიშნავენ, რომ ერთობლივ განცხადებაში განიარაღების მოლაპარაკებისათვის შეთანხმებული პრინციპების შესახებ ხაზგასმულია, რომ განიარაღების მიღწევისათვის საჭიროა ყველა სახელმწიფომ თავი შეიკავოს ყოველი მოქმედებისაგან, რომელსაც შეუძლია გაძლიეროს საერთაშორისო დაძაბულობა;

დარწმუნებული არიან, რომ ახლანდელი ახალგაზრდა თაობა უნდა აღიზარდოს მშვიდობის, ხალხთა ურთიერთ პატივისცემისა და ურთიერთ გაგების სულისკვეთებით;

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველი საშუალებით, რაც მათს განკარგულებაშია, განავითარონ სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად;

აღიარებენ, რომ ომის პროპაგანდას, ესე იგი პროპაგანდას, რა ფორმითაც ან რა ქვეყანაშიც უნდა წარმოებდეს, შეუძლია გამოიწვიოს ან წააქეზოს მშვიდობისადმი საფრთხე ან მშვიდობის დარღვევა, შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასთან და შეიძლება მოჰყვეს აგრესიისა და ომის აქტები;

(1) საქვეყნოდ ადასტურებენ, რომ მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 110 (11) რეზოლუციას, რომელმაც დაგმო „ყოველი ფორმის პროპაგანდა, რომელ ქვეყანაშიც უნდა წარმოებდეს, და რომელიც მიზნად ისახავს ან შეუძლია შექმნას ან გააძლიეროს მშვიდობის საფრთხე, დაარღვიოს მშვიდობა ან ჩაიდინოს აგრესიის აქტი";

(2) გმობენ მოწოდებებს ომისა და ომის შესახებ, რომ დაცა სახელმწიფოთა შორის მოწესრიგდეს ძალის გამოყენების გზით, აგრეთვე გმობენ განცხადებებს ომის აუცილებლობის ან გარდაუვალობის შესახებ;

(3) **აღასტურებენ** თავიანთ რწმენას, რომ ამჟამად ომი აღარ შეიძლება იყოს საერთაშორისო დავის მოწესრიგების მეთოდი, და თავიანთ სურვილს აღზარდონ ახალგაზრდა თაობა ამ რწმენით და ხელი შეუწყონ მშვიდობის, ხალხთა ურთიერთ პატივისცემისა და ურთიერთ გაგების იდეებს;

(4) **ვალდებულებას კისრულობენ** ყველა საშუალებით, რაც მათ განკარგულებაშია, ხელი შეუწყონ ინფორმაციის, იდეებისა და შეხედულებათა ფართო გავრცელებას, რომლებიც დაეხმარებიან ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას, და გააფართოონ ურთიერთობა კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში იმ მიზნით, რომ უკეთ გავრცელდეს სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი და მეგობრული თანამშრომლობისა და საყოველთაო და სრული განიარაღების იდეები;

(5) **მოუწოდებენ** ყველა სახელმწიფოს მათი კონსტიტუციური სისტემების ფარგლებში მიიღონ სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი, მათ შორის საკანონმდებლო ხასიათის ღონისძიებანი იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც შესაფერად მიიჩნევენ ასეთ ფორმას, რათა განხორციელდეს ეს დეკლარაცია ომის პროპაგანდის წინააღმდეგ;

(6) **მოუწოდებენ** ყველა დანარჩენ სახელმწიფოს მხარი დაუჭირონ ამ დეკლარაციას.

აღიარებენ, რომ ასეთი პროპაგანდის დამთავრებას შეუძლია ხელი შეუწყოს შეთანხმების დადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ და

(1) **აღასტურებენ**, რომ მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 110 (11) რეზოლუციას, რომელმაც დაგმო „ყოველი ფორმის პროპაგანდა, რომელ ქვეყანაშიც უნდა წარმოებდეს, და რომელიც მიზნად ისახავს ან შეუძლია შექმნას ან გააძლიეროს მშვიდობის საფრთხე, დაარღვიოს მშვიდობა ან ჩაიდინოს აგრესიის აქტი";

(2) **გმობენ** მოწოდებებს ომისა და ომის შესახებ, რომ დაცა სახელმწიფოთა შორის მოწესრიგდეს ძალის გამოყენების გზით, აგრეთვე გმობენ განცხადებებს ომის აუცილებლობის ან გარდაუვალობის შესახებ;

(3) **აღასტურებენ** თავიანთ რწმენას, რომ ამჟამად ომი აღარ შეიძლება იყოს საერთაშორისო დავის მოწესრიგების მეთოდი, და თავიანთ სურვილს აღზარდონ ახალგაზრდა თაობა ამ რწმენით და ხელი შეუწყონ მშვიდობის, ხალხთა ურთიერთ პატივისცემისა და ურთიერთ გაგების იდეებს;

(4) **ვალდებულებას კისრულობენ** ყველა საშუალებით, რაც მათ განკარგულებაშია, ხელი შეუწყონ ინფორმაციის, იდეებისა და შეხედულებათა ფართო გავრცელებას, რომლებიც დაეხმარებიან ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას, და გააფართოონ ურთიერთობა კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში იმ მიზნით, რომ უკეთ გავრცელდეს სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი და მეგობრული თანამშრომლობისა და საყოველთაო და სრული განიარაღების იდეები;

(5) **მოუწოდებენ** ყველა სახელმწიფოს მათი კონსტიტუციური სისტემების ფარგლებში მიიღონ სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი, მათ შორის საკანონმდებლო ხასიათის ღონისძიებანი იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც შესაფერად მიიჩნევენ ასეთ ფორმას, რათა განხორციელდეს ეს დეკლარაცია ომის პროპაგანდის წინააღმდეგ;

(6) **მოუწოდებენ** ყველა დანარჩენ სახელმწიფოს მხარი დაუჭირონ ამ დეკლარაციას.

ჟენევა, 25 მაისი. საკდესის სპეც. კორესპონდენტი ა. **კისლოვი** იუწყება:

ჟენევის განიარაღების თათბირზე, როგორც იქნა, მიაღწიეს პირველ კონკრეტულ შედეგს.

როცა გაიხსნა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ხელისშემწყობ ღონისძიებათა კომიტეტის დღევანდელი სხდომა, თითოეულ დელეგაციას წინ ედო 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის თავმჯდომარეების — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს — შორის შეთანხმებული დეკლარაციის ტექსტი ომის პროპაგანდის წინააღმდეგ, აგრეთვე თავმჯდომარეთა შეთანხმებული რეკომენდაციები, ამ კომიტეტის შემდგომი მუშაობის წესის შესახებ.

როგორც ცნობილია, ომის პროპაგანდის აკრძალვის საკითხი 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის განსახილველად დაისვა საბჭოთა კავშირის ინიციატივით. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ამ საკითხის განხილვაც კი არამცდარამც არ სურდათ, კომიტეტის წევრთა უმეტესობამ მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებას და საჭიროდ ცნო განხორციელდეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც აღკვეთენ ომის პროპაგანდას, რაც წამლავს საერთაშორისო ვითარებას და სახელმწიფოთა ურთიერთობაში სერიოზული განხეთქილების ერთ-ერთი წყაროა.

საბჭოთა დელეგაციის მტკიცე ღონისძიებათა მეოხებით კომიტეტის ორ თავმჯდომარეს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ შემუშავებულ იქნა შეთანხმებული რეკომენდაცია ომის პროპაგანდის წინააღმდეგ დეკლარაციის შესახებ. დეკლარაცია, კერძოდ, ითვალისწინებს, რომ დაიგმოს ომისათვის მოწოდება და ომისათვის მოწოდება, რომ სახელმწიფოთა შორის დავა მოწესრიგდეს ძალის გამოყენების გზით, აგრეთვე დაგმობილია ომის განცხადება, რომ საჭირო ან გარდაუვალია ომი და მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს „მათი კონსტიტუციური სისტემების ფარგლებში მიიღონ სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი, მათ შორის განახორციელონ საკანონმდებლო ხასიათის ღონისძიებანი იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც შესაფერისად მიიჩნევენ ასეთ ფორმას, იმ მიზნით, რომ განხორციელდეს ეს დეკლარაცია ომის პროპაგანდის წინააღმდეგ".

სხდომაზე სიტყვა პირველმა აიღო სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა, რომელმაც საბჭოთა დელეგაციის სახელით კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ დღეს თავმჯდომარეებმა შეძლეს კომიტეტის მოსაწონებლად წარედგინათ შეთანხმებული დეკლარაცია ომის პროპაგანდის შეწყვეტის საკითხზე.

დადებითი მომენტი დეკლარაციაში, თქვა ვ. ა. ზორინმა ისიც არის, რომ დეკლარაციაში კომიტეტის მონაწილენი ადასტურებენ თავიანთ მტკიცე რწმენას, რომ ამჟამად ომი აღარ შეიძლება იყოს საერთაშორისო დავის მოწესრიგების მეთოდი.

შემდეგ ვ. ა. ზორინმა აღნიშნა, რომ დეკლარაცია მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს განახორციელონ მათი კონსტიტუციური სისტემების ფარგლებში სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი, მათ შორის განახორციელონ საკანონმდებლო ხასიათის ღონისძიებანი იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც შესაფერისად მიიჩნევენ ასეთ ფორმას, იმ მიზნით, რომ განხორციელდეს ეს დეკლარაცია ომის პროპაგანდის წინააღმდეგ".

სხდომაზე სიტყვა აიღო ინგლისის „ხალხთა ერთიანობისა და ერთმანეთის ნდობის" ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ბ. ბ.

ბუნების ნაზი სამკაულები

დღეს ყვავილების დღესასწაულია

ჩვენს დედაქალაქში ტრადიციად იქცა ყვავილების დღესასწაული, რომელიც ყოველწლიურად ვარდობის თვეში — მაისში ეწყობა. და აი, დღეს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში დიდ ფართობზე აღმართული ბორაკები, რომლებიც ნამდვილი ბეგონებია.

ყვავილების დღესასწაულში მონაწილეობას იღებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი, თბილისის ცენტრალური ბოტანიკური ბაღი, ბათუმისა და სოხუმის ბოტანიკური ბაღები, თბილისის ქალაქის გამწვანების ტრესტი, ქალაქის გამწვანების რაიონული კანტორები, საწარმო-დაწესებულებები, სკოლები, ინდივიდუალური მეყვავილეები და სხვ.

ბოტანიკის ინსტიტუტი გამოფენაზე აჩვენებს ალპურ კუთხეს, სადაც მოწყობილი იქნებათ ალპური ბორაკი, ლამაზ მთის მცენარეებს — ფურისულებს, ჭარიფქლას, ღვინას, ბუჩქოვან მთის დეკას.

ცენტრალური ბოტანიკური ბაღი უმრავრესად გამოიტანს ოთახის ყვავილების კოლექციას, მრავალ დეკორაციულ მცენარეებს, რომლებიც ახლა ყვავილობენ, აგრეთვე ველური ფლორის ზოგიერთ წარმომადგენლებს.

ქუჩებში და მოედნებზე, ბაღებსა და პარკებში გაიყიდება ყვავილები ქოთნებით, ძირებად და ბოლქვებით, მათ შორის ბევრი იქნება გეორგინები, ხმალა, აგრეთვე უამრავი მოსაჭრელი ყვავილები.

კალინინის რაიონის საწარმო-დაწესებულებები თავიანთ გამოფენას მოაწყობენ კომუნარების ბაღში, პიონერთა სასახლის წინ, ყვავილების ფართო ასორტიმენტი აქვთ პიონერთა სასახლის ნორჩ მეყვავილეებს, ფუნიკულორის კულტურისა და დასვენების პარკს, სკოლებს და სხვ.

ორჯონიკიძის გამწვანების რაიონულმა კანტორამ ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს გარდა დიდი ექსპოზიცია მოაწყო კიროვის პარკში, აგრეთვე სასტუმრო „საქართველოს“ გვერდით. აქ ფართოდ არის წარმოდგენილი რაიონის საწარმო-დაწესებულებები.

მარჯანიშვილის მოედანზე ბევრია ოთახის მცენარეები, ოთახისა და ბალ-სკვერების გასაფორმებელი მასალა, რომელიც გამოიტანეს ოქტომბრის რაიონის გამწვანების კანტორამ და სკოლებმა.

გარდა ქალაქის ორგანიზაციებისა ყვავილების დღესასწაულში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ქალაქების ბათუმისა და სოხუმის გამწვანების ტრესტებმა. ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაცია გამოფენაზე მოვიდა თავისი ორიგინალური სტილითა და ფორმით. რა თქმა უნდა, უმთავრესად დაცულია ქართული ეროვნული სტილი და ორნამენტები.

რამდენიმე დღის შემდეგ დღესასწაულის შედეგები შეჯამდება, უკეთესი მაჩვენებლების მქონე ორგანიზაციები და ინდივიდუალური მეყვავილეები დაჯილდოვდება დიპლომებითა და სიგელებით.

ე. მამალაძე.

ისინიც, ყველაზე პატარებიც მოვიდნენ ყვავილების დღესასწაულზე. მოვიდნენ და თან მოიტანეს ყვავილების პაწია თაიგულები და თაიგულებად შეკრული ბავშვური სილაღე და სიხარული.

და ისე არაფერი არ შვენის ერთმანეთს, როგორც ბავშვები და ყვავილები.

ნ. გაფრინდაშვილი

* * *

გუშინ სოხუმში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. გამარჯვებულთა გამოსავლინებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უკანასკნელი მე-13 ტურის გადადებული პარტიების შედეგებს.

ორი ლიდერის — გაფრინდაშვილისა და კუშნირის პოზიციები გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე მათი მოწინააღმდეგეებისა — ფინტასი და ხომფისა. ბრძოლის განახლებიდან რამდენიმე სვლის შემდეგ ეს უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა, გაფრინდაშვილმა და კუშნირმა თითო ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

ნ. გაფრინდაშვილის გამარჯვება

ნიკოლაუ-ჩაიკოვსკაია ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა ვოიეეკ-კონარკოვსკასა და პოლიქრონიადასენოვას პარტიები.

ამრიგად, საერთაშორისო ოსტატმა ნონა გაფრინდაშვილმა ტურნირი დაუმარცხებლად, მისთვის ჩვეული შემოქმედებითი შემართებით ჩაატარა და პირველი ადგილი დაიკავა. 13 შესაძლებლიდან მან 11 ქულა შეაგროვა. გამარჯვებულს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა ახალგაზრდა მოსკოველი მოჭადრაკე ა. კუშნირი, რომელიც მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე ადგილი 9,5 ქულით დაიკავა რუმინელმა ა. ნიკოლაუმ, მეოთხე — მ. ტოგონიძემ (8 ქულა).

კაკაბაძემ, ოთვანოვიჩმა და პოლიქრონიადემ შვიდ-შვიდი ქულა შეაგროვეს. ჩაიკოვსკაიას 6,5 ქულა აქვს, კონარკოვსკას — 5 ქულა, ასენოვასა და ხომფის — 4,5 ქულა თვითეულს, ფინტას — 4 ქულა, შამეიტატეს — 3,5 ქულა, ვოიეეკს — 3 ქულა.

საღამოს მოეწყო ტურნირის საზეიმო დახურვა. გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები. ყველაზე მეტი მოგებისათვის (ცხრა-ცხრა) ჯილდოები გადაეცა გაფრინდაშვილსა და კუშნირს. უცხოელ მოჭადრაკეებთან შეხვედრებში საუკეთესო შედეგისათვის პრიზები მიიღეს აგრეთვე გაფრინდაშვილმა და კუშნირმა. თვითეულმა 5,5 ქულა შეაგროვა 8-დან. საბჭოთა მოჭადრაკეებთან შეხვედრებში საუკეთესო შედეგისათვის ჯილდო ხვდა ნიკოლაუს (4 ქულა 6-დან). ყველაზე ლამაზი პარტიისათვის დაწესებული პრიზი მოიპოვა გაფრინდაშვილმა შამეიტატესთან პარტიაში. პრიზები მოიპოვეს აგრეთვე ჩაიკოვსკაიამ, ოთვანოვიჩმა და სხვ.

ტურნირმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. უცხოელი მოჭადრაკეები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ შეჯიბრების კარგი ორგანიზაციისათვის, სტუმართმოყვარეობისა და გულთბილი მიღებისათვის.

თ. გიორგაძე.

ა. კუშნირი — ა. ნიკოლაუ

ბრაზილიელთა თვალით

მსოფლიოს ჩემპიონები სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შესახებ

ამბობენ, ფეხბურთში ყველაზე სახიფათოა პროგნოზები და მარჩიელობაო. მაგრამ მე მაინც გიამბობთ, თუ რაოდენ დიდია, ბრაზილიელთა აზრით, ჩვენი ფეხბურთელების შანსები „ოქროს ქალღმერთის“ თასის მოპოვებისა.

თქვენ არ იცით, რომ ჩვენი ნაკრები ჩილიში გამოიყენებს სისტემას, რომელსაც „ბალალაიკა“ ეწოდება? თქვენ არ იცით, რომ ჩვენს ნაკრებს შეუძლია დამარცხება განიცადოს ეპილეფსიური ჩრდილოეთამერიკული ცეკვის „ტვისტის“ უღონო თაყვანისმცემლებისაგან? თქვენ არ იცით, რომ ჩვენს ნაკრებში არის „კომუნისტური გარინჩა“? რა თქმა უნდა, ყოველივე ამაზე თქვენ არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ. ადგილობრივი გაზეთები კი სავსეა დაწვრილებითი ამბებით საბჭოთა გუნდის შესახებ.

ფეხბურთის თეორეტიკოსები დაწვრილებით არჩევენ მესხის თამაშის იღეთებს, ერთსულოვნად უწოდებენ მას კომუნისტურ გარინჩას და მთელ სპორტულ მიმოხილვას უძღვნიან ახალგაზრდა თბილისელს. ჩვენს მამიკინს სპეციალისტები ნიჭის მხრივ უთანაბრებენ პელეს, ხოლო იგორ ნეტოს შესახებ ერთხმად ამბობენ, ასეთი ნახევარმცველი არა გვგონია ჰყოლოდეს ბრაზილიას, რომელსაც ნილტონ სანტოსი ჰყავდაო. ერთი სიტყვით, რიო-დე-ჟანეიროს პრესა რომ წაიკითხოთ, დასკვნა თავისთავად გამოდის: სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელები ბრაზილიის ყველაზე მრისხანე მეტოქეები არიან. აქედან გამომდინარეობს გაძლიერებული ინტერესი ყოველივე იმისადამი, რაც შეეხება საბჭოთა ფეხბურთს, ვარაუდები იმ სისტემის შესახებ, რომელსაც ჩილიში წითელმაისურიანი თერმეტი მოთამაშე გამოიყენებს. აქედან გამომდინარეობს ასევე ინტერესი ყოველივე იმისადამი, რაც შეეხება საბჭოთა ფეხბურთს, ვარაუდები იმ სისტემის შესახებ, რომელსაც ჩილიში წითელმაისურიანი თერმეტი მოთამაშე გამოიყენებს. აქედან გამომდინარეობს გაძლიერებული ინტერესი ყოველივე იმისადამი, რაც შეეხება საბჭოთა ფეხბურთელების ბრაზილიის ფეხბურთელებთან ბრძოლის ინსტიტუტია სამედიცინო ინსტიტუტი. ამ კედლებიდან გამოდიან ადამიანები, რომლებსაც თავიანთი უკეთილშობილესი პროფესია ავალდებულებთ სხვა ადამიანის სიცოცხლისათვის იყონ პასუხისმგებელნი. დიახ, იყონ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იურისტები მორალურ სამართალს უწოდებენ იმ სავალდებულო ქცევის წესებს, რომელსაც საზოგადოება ქმნის და რომელთა შესრულებაც აუცილებელია. მორალური სამართლის სასჯელის ფორმა საზოგადოებრივი აზრია. მკაცრი და პირუთვნელი მსჯავრი. რა უნდა ითქვას ექიმის მორალურ სახეზე, რომელიც ფეხბურთელებს შორის მოიტანა ეს ორი ბარათიც, რომლებმაც მაიძულეს დამეწერა ეს წერილი.

* * *

ერთი თვის წინათ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის მინისტრმა გ. მარუაშვილმა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„მთიანი რაიონების ზოგიერთი სოფლის მოსახლეობის საყვედური ჩვენს მიმართ სამართლიანია. ამის მიზეზი პირველ რიგში ის არის, რომ კურსდამთავრებული ახალგაზრდა კადრების ნაწილს არა სურს სოფლად მუშაობა. მათ მიმართ კი გადამჭრელი ზომები ვერ მივიღეთ“.

რას ნიშნავს გადამჭრელი ზომები? ნუთუ სიხსლის სამართლის პასუხისმგებლობაა აუცილებელი იმისათვის, რომ ახალგაზრდა, რომელსაც ასწავლეს და ცოდნა მისცეს, დანიშნულ ადგილზე გამოცხადდეს?

ადამიანის სიცოცხლისათვის ბრძოლის ინსტიტუტია სამედიცინო ინსტიტუტი. ამ კედლებიდან გამოდიან ადამიანები, რომლებსაც თავიანთი უკეთილშობილესი პროფესია ავალდებულებთ სხვა ადამიანის სიცოცხლისათვის იყონ პასუხისმგებელნი. დიახ, იყონ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იურისტები მორალურ სამართალს უწოდებენ იმ სავალდებულო ქცევის წესებს, რომელსაც საზოგადოება ქმნის და რომელთა შესრულებაც აუცილებელია. მორალური სამართლის სასჯელის ფორმა საზოგადოებრივი აზრია. მკაცრი და პირუთვნელი მსჯავრი. რა უნდა ითქვას იმ ექიმის მორალურ სახეზე, რომელიც თვლის, რომ მისი შრომითი საქმიანობა აუცილებლად რუსთაველის პროსპექტზე უნდა დაიწყოს.

ყველა ჩვენგანმა იცის, როგორი არიან ზოგიერთი ინტერნატები ინსტიტუტში შესვლის წინ და როგორი ხდებიან მას შემდეგ, რაც დიპლომს მოიგდებენ ხელში. ისინი მზად არიან მოგცენ სიტყვა, პირობა, რომ ოღონდ ინსტიტუტში ჩაირიცხონ და თუნდაც ქვეყნის კიდეს წავლენ სამუშაოდ. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი გამოჩნდება ათასი მიზეზი, ათასი ცნობა და ავადმყოფობა.

— არა გვყავს ექიმი, — იწერებიან სვანეთის ზოგიერთი სოფლიდან, ხულოდან, შუახევიდან, ქედიდან. ახალქალაქში 40 ექიმის ვაკანტური ადგილია, ახალციხეში — 25-ისა. ექიმები აკლია ტყვარჩელს, ჭიათურას, ლენინგორს, ზნაურს, ლენტეხს, ონს, ამბროლაურს. გორის რაიონში 24 ექიმის ადგილია, მაშინ როცა თბილისში 684 ექიმი და 228 სტომატოლოგი უსაქმოდ დადის და სამსახურს ეძებს რუსთაველის პროსპექტზე.

რა მგაფიური ძალა აქვს ამ პროსპექტს, რომ რაკი ერთხელ გავა კაცი მის სატკეცნად, მერე ფეხს ვეღარ მოაცილებენ.

კ. ლეკიშვილი გაანწილეს დუშეთის რაიონში — არ წავიდა. გიორგი იოანეს ავადმყოფობის ვეებერთელა ცნობა წარმოადგინა, რომ მას აქვს „ტუბერკულოზის შემდეგ ნარჩენი მოვლენები“ და ...სურამში არ წავიდა სამუშაოდ. ჯანმრთელობის სამინისტროს კადრების სამმართველოში გულწრფელად არიან ამით აღშფოთებული. ექიმმა კი არა, ყველა სტუდენტმა იცის, რომ თუ კაცს მართლა „ნარჩენი მოვლენები“ აქვს, მისთვის სურამი ზედგამოჭრილი სამკურნალო ადგილია. იოანეი კი ფეხს არ იცვლის თბილისიდან. კეთილი, ელოდოს ლაღიძის წყლებთან კლინიკას, წელს თუ არა გაისად, გაისად თუ არა, შემდეგ წელს... იყოს უმუშევარი და ნუ შეაწუხებს ის, რომ სადღაც სოფელში შვილი უკვდება დედას, რომ სადღაც სიცხით გათანგული ავადმყოფი შველას ითხოვს და ჭირისუფალი მეზობელ სოფელში დაეძებს მშველელ ექიმს.

ექიმისათვის მხოლოდ სამედიცინო განათლება არ არის საკმარისი, ექიმი უპირველეს ყოვლისა დიდი მოქალაქეა, რომელსაც ღრმად აქვს შეგნებული თავისი ვალი ხალხის წინაშე. რ. ხაჩიძე, ი. ალიაშვილი, ნ. ხუხაშვილი... ვათვალიერებთ თბილისში მოსეირნე ექიმების გრძელ სიას. აი ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის თუნდაც იმ ბავშვის დაღუპვაში, რომელთა შესახებ გვწერს მამა, ახალგაზრდა კაცი, ასეთი სიმწარე რომ იგემა, დიახ, თქვენა ხართ დამნაშავე, ნიკოლაიშვილებო და ხაჩიძეებო, ბალდურიებო და ხუხაშვილებო, თქვენ, ვინც დიპლომი გიგიავთ ამ ... ხალხის სამსახურისათვის, არამედ საკუთარი კეთილდღეობისა და წარჩინებისათვის.

აი წერილები უშგულიდან, ცანიდან, ერთიანად და სხვა სოფლებიდან, იწერებიან ჩასულიყვნენ ... ოჯარაძეები, კიდელაშვილები და რამაძეები. ... ...